ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2579415

ნომერი: AR1400402

თარიღი : 26.04.2016

გაცემის თარიღი : 05.05.2016

გაცნობის თარიღი : 05.05.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭყონდიდელი , N 85 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნოდარ ბაღათურია პ/ნ 01008022487
- მცხეთის ქ.#1/ზ.27

ორგანიზაცია:
- მაგთიკომი კოდი: 204876606

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი
  ახალი მშენებლობა
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ანტენებისა და დროებითი ნაგებობის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – ნაძალადევი, ჭყონდიდელის ქუჩა #85, შპს "ატლასი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #01.12.12.005.025), არსებული შენობის სახურავზე ანტენებისა და დროებითი ნაგებობის მოწყობას, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882016222489 12/04/2016წ. საკადასტრო კოდი N 01.12.12.005.025; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – ნაძალადევი, ჭყონდიდელის ქუჩა #85, შპს "ატლასი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #01.12.12.005.025), არსებული შენობის სახურავზე ანტენებისა და დროებითი ნაგებობის მოწყობის შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge